

საგაზეთო



საგაზეთო გაზეთი კარასკევი 7 მარტი 2008 №051 (3275)

ფასი 50 თეთრი

ზეგოთ მთავარი ზუგდიდია ბორჯომს დინამოსთან დინამო არ აყოლაბა

დღეს და ხვალ საქართველოს ჩემპიონატის მე-16 ტურის მატჩები. ჩემპიონობისთვის მებრძოლთაგან ყველაზე მძიმე თამაში „ზესტაფონს“ ელის — ზუგდიდში მოგება იოლი არავისთვის ყოფილა. თუმცა ისიც არის, რაც მეორე წრის დასაწყისმა უკვე გვა-

ნახა — ფავორიტობა უეჭველ გამარჯვებას სულაც არ ნიშნავს. ამ ტურშივე საქართველოს ახლანდელი ჩემპიონი „ოლიმპი“ თა-სის მფლობელ „ამერს“ სტუმრობს და ეს მატჩიც გვარიან ბრძო-ლას გვპირდება.

საქართველოს
საგაზეთო



„ამერის“ და „ოლიმპის“ შინა მატჩი სუპერთასისა იყო და თბილისელებმა 4:1 მოიგეს

ბადრი კეთილაძის ფოტო

შევექმნათ მწვრთნელს არაკომფორტული გარემო! უსვენს თუ არა ფეხბურთის ფედერაცია კრიტიკას?



ნალრიკი
დავით სირაძეს
ერთი წრით
შეუთანხმდა



ბადრი კეთილაძის ფოტო

საპარატისტული ფეხბურთი რა ხდება აფხაზეთის გოგონებში



სოხუმის რესპუბლიკური სტადიონი

საპარატისტული აფხაზეთი და ფეხბურთი — ვფიქრობთ, ეს საინტერესო თემა უნდა იყოს ქართველი გულშემატკივრისთვის. აფხაზეთის დეფაქტო ფეხბურთის ფედერაცია უკვე რამდენიმე წელია, ჩემპიონატს და თასის გათამაშებას ატარებს.

აფხაური სეზონი გაზაფხულზე იწყება და შემოდგომაზე მთავრდება. ჩემპიონატში ცხრა გუნდი მონაწილეობს — 2006 წელს ჩემპიონი „გაგრა“ გახდა, ხოლო მარშან სოხუმის „ნარტი“.

„ნარტი“, „გაგრა“, გულაუთის „რიწა“, ბიჭვინთის „კიარაზი“, „ათონი“, სოხუმის „აბაზგი“, ტყვარჩელის „მასტიორი“, გულრიფშის „კულერი“ და გალის „სამურზაყანი“ — ეს გუნდები მონაწილეობენ აფხაზეთის ჩემპიონატში.

გათამაშება საკმაოდ უცნაური სქემით ტარდება — ჩემპიონატში კენტი რაოდენობის გუნდია და საბოლოო ცხრილშიც არათანაბარი თამაშები გროვდება, თუმცა ეს წერილი ამ „პრობლემების“ განხილვას სულაც არ ემსახურება.

ჩვენთვის ის უფრო საინტერესოა, რომ სამწუხაროდ, უცხოური სააგ-

ენტოები უკვე არ გაუბრძანებია სეპარატისტული მთავრობის მქონე ქვეყნის სპორტული ცხოვრების გაშუქებას, თუმცა ერთი „შეღავათი“ ის არის, რომ იქვე მითითებულია: „აფხაზეთი ფიფა-უეფას წევრი არ არის“.

ნარტი	13	12	1	0	37
გაგრა	12	9	1	2	28
რინა	12	8	2	2	26
კიარაზი	12	7	2	3	23
ათონი	12	4	1	7	13
აბაზგი	13	3	0	10	9
მასტიორი	13	2	2	9	8
კულერი	12	2	2	8	8
სამურზაყანი	11	2	1	8	7

ჩემპიონატისგან განსხვავებით, თასის გათამაშება ჯერ არ დასრულებულა — ვიცით მხოლოდ მქონე ხედვინთის შედეგები: „ნარტი“ 1:1 „რიწა“, „ათონი“ 3:3 „კულერი“, „სამურზაყანი“ 6:0 „აბაზგი“, „კიარაზი“ — „გაგრა“ გადაიღო.

2007 წლის აფხაზეთის საუკეთესო ფეხბურთელი ნარტელი ანრი ტანია გახდა, ხოლო ბომბარდირი ასევე „ნარტის“ თავდამსხმელი ბენსლან აშუბა (24 გოლი).

ბასა ზალამბერიძე

თვეები გადის, ბიორგბი ლომიანს კარიერაში კი არაფერი იცვლება. საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მეკარე ისევ თბილისის „ვიტ ჯორჯიაში“ ვარჯიშობს, მაგრამ სად ითამაშებს, ეს ჯერ კიდევ უცნობია. მძიმე პერიოდი უდგას გიორგის — ჯერ იყო და, ლვოვის „კარპატიდან“ ნამოსვლა მოუხდა, მერე იატლიასთან გაშვებული გოლის შემდეგ საქართველოს ნაკრებიდანაც დაითხოვეს...

ლომაია და კლუჟი? უსაქლოა, ვიტ ჯორჯიას დაგეგმატო



„სიახლე არაფერია. ევას, შესაძლოა, „ვიტ ჯორჯიას“ დავემატო. ეს იმ შემთხვევაში, თუ უახლოეს ორ კვირაში უცხოური გუნდი არ მიმიწვევს. თავისუფალი აგენტი ვარ და ნებისმიერ დროს შემიძლია ახალ გუნდში წასვლა. თუკი ვინმეს სურვილი ექნება...“ — გვითხრა ლომიამ.

ამასწინათ გვეწერა, ლომიათი ერთ-ერთი რუმინული კლუბია დაინტერესებულიო. ეს გიორგიმაც დაგვიდასტურა, თუმც მასამდე რუმინეთში წასვლა გამორიცხულიაო, გვითხრა.

„რუმინეთის წამყვანი გუნდი მთავაზობდა სამი თვე პლუს სამწლიან კონტრაქტს, თუმც მერე შეფერხება მოხდა. არ არის გამორიცხული, მისში დამიკავშირდნენ. ისე, ძალიან ცუდი ყოფილა უთამაშებლად დარჩენა, მაგრამ დავიღალე“.

ჩვენ კი ერთ-ერთი რუმინული ვებგვერდის ფორუმზე წავაწყდით ინფორმაციას, რომ ეს რუმინული კლუბი „კლუჟი“ ყოფილა, რომელიც იქაური ჩემპიონატის ლიდერია.

ილია ნანოზაშვილი

მერაბ ბათუმს ლიგა მოსტოხოვა

„ბათუმს“ პირველ ლიგაში დაბრუნების დიდი საშიშროება ემუქრება. ზღვისპირელებს 15 თამაშში სულ ხუთი ქულა აქვთ მოგროვებული და ცხრილის ფსკერზე არიან. მეორე წრეში გუნდი რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერდა, თუმც ჩატარებულ ორ შეხვედრაში ოდენ ქულა მოიხვეჭეს, თანაც უშუალო კონკურენტ გორის „დილასთან“ მა-

ტჩში, რამაც მათი მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა. გუმინ „ბათუმს“ ქალაქის ხელმძღვანელობა შეხვდა. ქალაქის პირველი პირები მწვრთნელ-ფეხბურთელებს ფინანსურ მხარდაჭერას დაჰპირდნენ, სანაცვლოდ კი უმაღლესი ლიგადან არგავარდნა მოითხოვეს.

დღეს „ბათუმი“ შინ ბოლნისის „სიონს“ მიიღებს და სამი ქულის-

თვის დიდ ბრძოლას გაუმართავს.

მოგეხსენებათ, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ზღვისპირელებმა ლატვიურ „დინაბურგიდან“ დაბრუნებული შოთა ბაბუნაშვილი შეიმატეს და საერთოდაც, ავთანდილ კუნჭულიას გუნდის შემადგენლობას თუ გადავხედავთ, წესით, არც ერთი გუნდი „ბათუმთან“ იოლ გასეირნებას არ უნდა ელოდოს...

ნუკრი ლოლაძე

კაუნასის ქართველები პოლონეთში

ლიტუვური „კაუნასი“ მორიგ შეკრებაზე პოლონეთში წავიდა და თან სამი ქართველი იახლა — გივი კვარაცხელია, ნუკრი მანჩხაია და აკაკი ხუბუტია. ტრავმამოშუშებული კვარაცხელია ამ შეკრებაზე განაახლებს სრული დატვირთვით ვარჯიშს.

„კაუნასი“ პოლონეთში რამდენიმე ამხანაგურ მატჩსაც გამართავს, ლიტვის ჩემპიონატი კი 29 მარტს დაიწყება და პირველ ტურში „ეკრანასს“ სტუმრად გაუვიბრება.

ბასა ზალამბერიძე

ათიანი სხრას ელის

9 მარტს რუსეთში სეზონი სუპერთასით იხსნება — მოსკოვის „ლოკომოტივი“ სანკტ პეტერბურგის „ზენიტს“ შეხვდება. სანამ ახალი სეზონი დაიწყება, რკინიგზული კლუბის ხელმძღვანელობამ გულშემატკივრებს ახალწვეულები წარუდგინა.

სამარის „კრილია სოვეტოვიდან“ გადასულ დავით მუჯირის 10-ნომრიანი მაისურა გადასცეს. მისი ოფიციალური დებიუტი სწორედ საკვირაო მატჩში უნდა შედგეს.

რაც შეეხება მალხაზ ასათიანს, „ზენიტის“ წინააღმდეგ ვერ ითამაშებს — მას წელი სტკივა და ოთხდღიანი დასვენება გამოუწერეს.

მიხეილ შორჟოლიანი



შოტლანდია	
პრემიერლიგა. გადამდებული მატჩი	
ბრატანა 0:3 დანდი იუნაიტედი	
ფინეთი	ამხანაგური მატჩები
ლიგის თასი. V ტური	ოლგორგი 3:2 ვოლარენგა
I ჯგუფი	ფრედრიკსტადი 2:0 ტროსნიო
ტამპერე 3:0 ჰონკა	ბრინი 2:4 ბრანი
II ჯგუფი	სტარტი 2:1 კონგსვიგარი
მარიჰაენი 0:3 ინტარი	ოლ ბრენლანდი 4:0 ტურკუ
უეფას თასი 2007-2008	
მარტინოვიჩი (9), 0:2 ტონი (45), 0:3 პოდოლსკი (57), 0:4 კლოზე (67), 0:5 რიბერი (86)	
ფიორენტინა (იტალია) 2:0 ეპერტონი (ინგლისი)	
1:0 კუზნეცი (70), 2:0 მონტოლიგი (81)	
მარსალი (საფრანგეთი) 3:1 ზეტინი (რუსეთი)	
1:0 ჯ. სისე (36), 2:0 ნიანგი (47), 3:0 ჯ. სისე (54), 3:1 არშავინი (82)	
ბოლტონი (ინგლისი) 1:1 სპორტიინგი (პორტუგალია)	
1:0 მაკკენი (25), 1:1 ვუჩევიჩი (69)	
რაინფორსი (შოტლანდია) 2:0 ვირდერი (გერმანია)	
1:0 კუზნი (45), 2:0 დვეისი (48)	
ლევიკოპოლი (გერმანია) 1:0 ჰემსფორდი (გერმანია)	
1:0 გეასი (77)	
ტოტენჰემი (ინგლისი) 0:1 ჰეს (პოლანდია)	
0:1 ფარფანი (34)	
ბენფიკა (პორტუგალია) 1:2 ხეიტაფი (ესპანეთი)	
0:1 რედი (25), 0:2 ერნანდესი (67), 1:2 მანტოროსი (76)	



ტურის ერთ-ერთი მთავარი
მატჩი „ამერი“ — „ოლიმპია“

ბათუმი. 7 მარტი. 15 საათი. პდპლი

ბათუმი — სიონი

მსაჯეები: მ. ურუშაძე, ზ. მენთემაშვილი, ი. მაჩიტაძე, გ. დოგრაშვილი

თბილისი. 7 მარტი. 15 საათი. ეროვნული

დინამო — ბორჯომი

მსაჯეები: ე. ელისაბედაშვილი, კ. ბერაძე, კ. გაბრიძე, ლ. სილაგავა

გორი. 7 მარტი. 15 საათი. ძბრძლი

სპარტაკი — მერანი

მსაჯეები: ლ. ფანიაშვილი, ს. სპიციანი, ა. კოკია, ხ. გაგნიძე

მცხეთა. 7 მარტი. 15 საათი. ბრმზნი

ვიტჯორჯია — დილა

მსაჯეები: ლ. კვარაცხელია, ზ. ჯვარიძე, ი. უკლება, ვ. გუმბერიძე

თბილისი. 8 მარტი. 15 საათი. აშპრი

აპერი — ოლიმპი

მსაჯეები: ა. კრიჭაშვილი, ლ. თოდრა, ბ. ჭიჭინაძე, ო. ხეცაძე

ბორჯომი. 8 მარტი. 15 საათი. ჯ. ზაინალიშვილი

მესხეთი — ლოკომოტივი

მსაჯეები: დ. ხარიტონაშვილი, ლ. მიქელაძე, კ. გუდურაშვილი, ი. ურუშაძე

ზუგდიდი. 8 მარტი. 15 საათი. მ. თუთუბარიძე

გვლუბი — ზესტაფონი

მსაჯეები: გ. ვადაჭკორია, მ. ელიკაშვილი, გ. ჩიგოგიძე, გ. კიკაჩიშვილი

**ზეგორთ მთავარი ზუგდიდია
ბორჯომს დინამოსთან დინამო არ ეყოლება**

პატივსაცემი ცოტას თუ სჯერა, რომ შაბათს საღამოს, როცა მეთექვსმეტე ტური უკვე მიღებული იქნება, ცხრილის ზედა ნაწილი შეცვლილი იქნება. ჩემპიონობისთვის მებრძოლ სამეულს ვგულისხმობთ — ერთი კია, წინა ორმა ტურმა, განსაკუთრებით კი პირველმა, გვიჩვენა, რომ ჩვენს ჩემპიონატშიც არ არის გამორიცხვადი სენსაციები. ყველაზე ფრთხილად კი, ცხადია, „ზესტაფონი“ უნდა იყოს, თორემ „დინამო“ და „ვიტჯორჯია“...

დღეს-ხვალ ერთი-ორი ისეთი თამაშია, ექვსქულიანი რომ ეთქმის. სულ ზემოთ რომ ვიყურებით, არანაკლებ გაფაციცებული მდგომარეობა ცხრილის მეორე ნახევარში და აი, იქ კი ნაღდად ველოდებით ცვლილებებს.

დღევანდელით დავიწყეთ: „ბორჯომმა“ შარშანწინდელ სეზონში ორივე მატჩი მოუგო „დინამოს“, მაგრამ მის შემდეგ ფრეც ვერ გაუბედავს. პირველ წრეში კურორტელები მინ კარგა ხანს უგებდნენ სახელიან მტერთებს, მაგრამ მაინც დათმეს...

გუშინწინ გადაწყდა, რომ ყოფილი დინამოელები, გიორგი ფეიქრიშვილი და შოთა გრიგალაშვილი „ბორჯომში“ ითამაშებენ ზაფხულამდე, მაგრამ დღეს მოედანზე ვერ ენახავთ...

„გრიგალაშვილის და ფეიქრიშვილის განაცხადში შეყვანა კი მოვასწარი, მაგრამ „დინამოსთან“ ვერ ვათამაშებთ. ასეთია კლუბებს შორის შეთანხმება“ — ეს თორელთა თავკაც ვლადიმერ ხანიძის სიტყვებია, ჩვენს მხრივ კი შეგახსენებთ, რომ ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი გრიგალაშვილი შარშანაც „ბორჯომში“ ბურთობდა და გუნდის უდავო ლიდერიც გახლდათ.

სწორედ გრიგალაშვილი-ფეიქრიშვილია ხანიძის გუნდის ძალა, თორემ სხვა მხრივ, ბორჯომელთა შემადგენლობა თვალს ვერავის დაუყენებს.

„დინამოსი“ არ იყოს, „ვიტჯორჯიასთან“ სამ ქულას ელოდება ყველა, ან კი რა უნდა გაუჭირდეს ნესტორ მუმლაძის გუნდს იმ გორის „დილასთან“, რომელიც ჯერ ისედაც სუსტია და თან სამი ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელი აკლია.

ვიტელებს თავდასხმაში უჭირთ, ნიკა გელაშვილის წასვლის შემდეგ გამოკვეთილი მველი არ დარჩათ, მაგრამ გაცვეთილი ფრაზა რომ გამოვიყენოთ, გამარჯვებულებს არ ასამართლებენ.

„ვიტჯორჯიამ“ მიჯრიტ ორი მატჩი მოიგო, აქედან ერთი „ზესტაფონთან“ გადავიდეთ ზღვისპირეთში, სადაც ვინძლო,

ბოლო შანსი აქვს „ბათუმს“ — მართალია, ბოლნისის „სიონი“ მათი უშუალო კონკურენტი არაა, მაგრამ მასპინძლებს მაინც ჰაერით სჭირდებათ მოგება. ბათუმელებმა შოთა ბაბუნაშვილი დაიმატეს, ისედაც, შარშანდელთან შედარებით გააძლიერეს შემადგენლობა და ასე გვეგონია, გუნდი ნელ-ნელა დაიძვრება ფსკერიდან.

სატურნირო თვალსაზრისით, „სიონი“ ასე თუ ისე არხეინდება — საშიში ზონიდან რქულითაა დაშორებული.

რქულა ვახსენებთ და, სწორედ ეს ექვსქულიანი თამაშია გორში, სადაც ცხინვალის „სპარტაკი“ თბილისის „მერანს“ დაუხვდება — ერთი დონის გუნდები არიან, ცხრილშიც მეზობლობენ და ამიტომ, მაგარ ბრძოლას ველოთ.

„სპარტაკი“ მასპინძელია და ამის გამო თუ ჩავთვლით ფავორიტად.

ამ ორი გუნდის ქვემოთ კი დედაქალაქური „ლოკომოტივი“ა, რომელმაც ლევან ციციშვილი და რატი ალექსიძე დაიმატა, მაგრამ ვეჭვობთ, ერთმა ან მეორემ „მესხეთთან“ ითამაშოს. ცხრილს თუ ჩავხედავთ, „მესხეთი“ ყველაზე უმოტივაციოდ მოგვეჩვენება, მაგრამ უინიანი გუნდია და ვფიქრობთ, „ლოკომოტივს“ არაფერს დაუთმობს — ამ გუნდ-

ბის შარშანდელი შეხვედრა კი გეხსოვებათ, მესხებმა ვაკეში 3:2 მოიგეს.

ტურისწინა მიმოხილვა ლიდერთა სამეულით დავიწყეთ და იცოცხლეთ, „ზესტაფონს“, კონკურენტებთან შედარებით, მძიმე პოზიციას ელის, მაგრამ თუ ზურაბ იონანიძე და ეტენ ბიტლო წინა მატჩის მსგავსად ითამაშებენ, ვინძლო, ზუგდიდელებს ვერაფერს უშველოთ.

მატჩს „მზე“ პირდაპირ ეთერში გადასცემს და კიდევ ერთი კარგი თამაში: თასის მფლობელი „ამერი“ ჩემპიონ „ოლიმპს“ დაუხვდება. მართალია, ჩემპიონობაზე ორივეს ჩაქნული აქვს ხელი და მეოთხე ადგილზე ვასვლავ კი წარუმატებლობად ჩაიქვლებათ, მაგრამ ბრძოლა იქნება, ნუ იტყვიან...

რუსთაველებს გველის ნაკბენით ახსოვს სუპერთასზე 1:4 წაგება, მაგრამ ახლა „ამერს“ ჰკითხეთ — „ოლიმპთან“ საჩემპიონატო მატჩი არასოდეს მოუგია. ერთი კია, ორივენი თასზე უფრო ფიქრობენ, იქ დარჩათ ევროსარბიელზე გაღწევის მეტი პერსპექტივა.

ანატოლი პისკოვეცის გუნდის მთავარი ძალა დავით დევდარიანია და გლდანელთა მკველებს განსაკუთრებით მასზე მართებთ ეურადლება.

ილია ნანობაშვილი

დისკვალიფიცირებული:

გაგა ბარბაქაძე	ლოკომოტივი
ლევან სილაგაძე	ოლიმპი
ირაკლი ცხანავა	ბათუმი
ბესიკ ქარდავა	სიონი
მურმან ქურასბედიანი	სიონი
ქრისტეფორე შატაკიშვილი	დილა
გიორგი ბალაშვილი	დილა
საბა სულთანისვილი	დილა

დინამო	15	13	0	2	38:7	39
ვიტჯორჯია	15	12	1	2	28:9	37
ზესტაფონი	15	12	1	2	31:9	37
ოლიმპი	15	9	3	3	16:9	30
ბორჯომი	15	8	4	3	19:11	28
ამერი	15	8	1	6	24:17	25
მესხეთი	14	6	2	6	16:21	20
მგლები	14	6	0	8	15:19	18
სიონი	15	5	3	7	19:19	18
მერანი	15	4	1	10	8:24	13
სპარტაკი	15	3	3	9	6:18	12
ლოკომოტივი	15	3	1	11	9:23	10
დილა	15	1	4	10	7:26	7
ბათუმი	15	1	2	12	5:29	5

ფეხბურთი
თბილისი. აპერის სტადიონი
უმაღლესი ლიგა. მეთექვსმეტე ტური
8 მარტი
აპერი — ოლიმპი
თბილისი რუსთავი

დასაწყისი 15 საათზე. ბილეთის ფასი 1 ლარი

40 — იაშვილი პროცენტებს ზრდის ქართული მფლობელთა მგელი იყო



მშენებელი ფორმაში მყოფი ალექსანდრე იაშვილი „კარლსრუეს“ ფანებმა დააფასეს. როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენთან „ეკო-ფსტურგთან“ მატჩის (3:1) საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. იაშვილს ფანების 40-მა პროცენტმა მისცა ხმა, მეორეზე გოტფრიდ ალუბე გავიდა (24,5), მესამეზე კი — ჯოშუა კენელი (12,7).

მოკლედ, „აკუნას“ ტური იყო ბუნდესლიგაში — ქართველი ფორვარდი ხომ „კიკერმა“ სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანა.

საინტერესოა, რომ იაშვილი „კარლსრუეს“ ფანებში ბოლო სამ ტურში მეორედ აღიარეს მატჩის რჩეულად — „ლევერკუზენთან“ 2:2 დამთავრებულ შეხვედრაში 25,5 პროცენტი მიიღო.

ჩვენ კი იაშვილის ეროვნულ ნაკრებში დაბრუნებას 26 მარტს ველოდებით...

ილია ნანოგაძე

უპილო ქართველის ერთი გოლი

მასაჩუსეტის „ანჟი“ თურქული შეკრება დაასრულა და შინ დაბრუნდა. წამოსვლის წინ კი „სალუტენერგის“ გაეჯობრა და 3:2 მოუგო.

„ანჟის“ შვიდეუე ქართველმა სხვადასხვა რაოდენობის წუთები დაყო მოედანზე, ნახევარმცველმა გო-

ჩა ხოჯავამ კი გოლის გატანაც მოახერხა...

რუსეთის პირველი დივიზიონი პრემიერლიგაზე გვიან იწყება და „ანჟი“ 10-20 მარტს კიდევ ერთ შეკრებას გეგმავს კისლოვოდსკოში.

მიხეილ შოგოლიანი

ნაღრიკი დავით სირაკეს ერთი წრით შეუთანხმდა

ნაღრიკის „სპარტაკმა“ განაცხადში მესამე ქართველი ფეხბურთელი შეიყვანა — დავით სირაკე.

აქამდე სირაკე მეორეუნდესლიურ „პადერბორნი“ თამაშობდა და გერმანული კლუბთან კონტრაქტი გაწვევითა — „სპარტაკმა“ თავდამსხმელი ოთხი თვით, პირველი წრის ბოლომდე აიყვანა.

არადა, ნაღრიკელები ამბობდნენ, სირაკეს ხანგრძლივი კონტრაქტი უნდა გაეფორმებინათ, თუმცა ბოლოს აზრი შეიცვალეს.

შეგახსენებთ: „სპარტაკში“ ალექსანდრე ამისულაშვილი და გოგიტა გოგუაძე თამაშობენ.

მიხეილ შოგოლიანი




ჭედია ისევ ტორკაედოშია

ბუშინ ჟოდინოს „ტორპედო“ თურქულ შეკრებაზე გაემგზავრა და თან გიორგი ჭედიაც იახლა. ბელარუსულმა კლუბმა ქართველ ფეხბურთელთან 3+1-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ოლო მატჩში მიიღო მონაწილეობა, რომელშიც ორი გოლი გაიტანა, ხოლო ერთი თანაგუნდელს გაატანა. შეგახსენებთ ჭედიას „ხობში“, ქუთაისის „ტორპედოს“ და ზუგდიდის „მგლებში“ უთამაშა.

მიხეილ შოგოლიანი

ირლანდიას თბილისში არსენალის რამოკყვება



ლიამ ბრეიდი

მუნდიალ-2010-ის შესარჩევ ციკლს საქართველოს ნაკრები ირლანდიელებთან საშინაო მატჩით იწყებს.

„ეკლტების“ სამწვრთნელო შტაბში კი მატებაა: ჯოვანი ტრაპატონის თანაშემწედ ლონდონის „არსენალის“ საფეხბურთო აკადემიის დირექტორი ლაიამ ბრეიდი დაინიშნა.

ბრეიდი 80-იანი წლების დასაწყისში ირლანდიის ნაკრების ლიდერი გახლდათ, ბრწყინვალე საკლუბო კარიერა ჰქონდა და „იუვენტუსშიც“ უთამაშა, რომელსაც იმ პერიოდში სწორედ „ტრაპაი“ წვრთნიდა.

„ტრაპატონის“ მაქსიმალურად მივეხმარები. მან მითხრა, რომ ნაკრების ფეხბურთელების უკეთესი გაცნობა სურს“ — თქვა ბრეიდი, რომელმაც არსენ ვენგერისგან თანხმობა მიიღო და „არსენალის“ აკადემიის დირექტორადაც დარჩება.

ილია ნანოგაძე



ვიზა, მესურვა, მამა, კონტრაქტი სურციამ კაუნასისკენ მიიწვი

საქართველოს 17-წლამდე-ლთა ნაკრების თავდამსხმელი ზურაბ ზურციძე ლიეტუვ „კაუნასში“ იმყოფებოდა და კონტრაქტიც უნდა გაეფორმებინა, მაგრამ მცირე პრობლემები შეექმნა და ეს საქმე დროებით გადაიდო. ზურციძე ახლა თბილისშია და უახლოეს დღეებში ისევ კაუნასს მიაშურებს...

ერთთვიანი ვიზა მქონდა და დამითავრდა. კაუნასში ძირითად გუნდთან ერთად ვვარჯიშობდი ვარდა იმ პერიოდისა, როდესაც გუნდი „თანამეგობრობის“ თასზე თამაშობდა. ორ საკონტროლო მატჩში მივიღე მონაწილეობა და ერთი გოლი გავიტანე. ლიეტუვაში ისევ მელან, განცხადება საელჩოში შეტანილი მაქვს, 10-ში ვიზას ველოდები და კაუნასში წავალ. კლუბთან ჯერჯერობით წინასწარი კონტრაქტი მაქვს, რაც შეეხება ოფიციალურ ხელშეკრულებას, ხელს არასრულწლოვნობა მიშლის. მეურვეობა ადგილობრივმა უნდა გაიწვიოს, რაც გვიკვარცხელია მთელს ითავა, თუმცა მშობლების ხელმოწერის გარეშე ეს არ ხერხდება და კაუნას-

ში მამაჩემის ჩასვლაც აუცილებელი გახდა“ — გვითხრა ზურციძემ. ზურას მამა კი, გველოდებით, ქუთაისის „ტორპედოს“ ყოფილი პრეზიდენტი გრიგოლ ზურციძეა...

„კონტრაქტში დევს პუნქტი, სადაც აღნიშნულია, რომ როცა ზურა 18 წლის შესრულდება, პირობებს გადახვდება. მანამდე ზურამ ძირითად გუნდთან ერთად უნდა ივარჯიშოს, შეკრებებიც მათთან გაიაროს და სათანადო გუნდში ითამაშოს“ — გვითხრა გრიგოლ ზურციძემ.

— „კაუნასი“ ძლიერი გუნდია, რამდენიმე ფეხბურთელი მოტლანდიური „პარტისიდან“ დაიბრუნა, თუმცა ლიდერი მაინც კვარაცხელია, კარგად თამაშობს ნუკრი მანხაგაე. აკაკი ხუბუტია ძირითადში ხმარად არ არის, მაგრამ მისცე ემიტებათ. ვერ გეტყვით, რომ ჩასვლისთანავე ძირითადში მოეხვედები, მაგრამ კარგი პირობებია, რათა ფეხბურთელად ჩამოვყალიბდე. იმედი მაქვს, იქ გატარებული დრო სანაირებოდაც გამოამდგება“ — დასძინა ზურამ.

მიხეილ შოგოლიანი

ვინ დარჩება სასოწარკვეთილი?

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და მალაზიათა ქსელი „ელიტელი“ რომ ვოგონათა შორის „ელიტელის“ თასის“ გათამაშებას ატარებს, ადრეც ვწერდით.

გუმინ ფედერაციაში საამტურნირო კენჭისყრა გაიმართა და ჩვენს ჯგუფური უტაპის კალენდარს გთავაზობთ:

A ჯგუფი: „ელიტ ელექტრონიკსი“, „ელიტელი“, „ფოთის პორტი“, საზოგადოებრივი მაუწყებელი „მინას ანგელოზები“

B ჯგუფი: „პოპული“, „ანაბეჭდი“, „AON Georgia“, GPI პოლიტექნიკის „სასოწარკვეთილი დიასახლისები“

შაბათი, 8 მარტი

16.00	„ელიტ ელექტრონიკსი“ — „მინას ანგელოზები“
16.35	„ელიტელი“ — „ფოთის პორტი“
17.10	„პოპული“ — „სასოწარკვეთილი დიასახლისები“
17.45	„ანაბეჭდი“ — „AON Georgia“

კვირა, 9 მარტი

16.00	„ელიტ ელექტრონიკსი“ — „ფოთის პორტი“
16.35	„ანაბეჭდი“ — „სასოწარკვეთილი დიასახლისები“
17.10	„პოპული“ — „AON Georgia“
17.45	„ელიტელი“ — „მინას ანგელოზები“

ორშაბათი, 10 მარტი

20.00	„ელიტ ელექტრონიკსი“ — „ელიტელი“
20.35	„AON Georgia“ — „სასოწარკვეთილი დიასახლისები“
21.10	„პოპული“ — „ანაბეჭდი“
21.45	„ფოთის პორტი“ — „მინას ანგელოზები“

სამშაბათს, 11 მარტს ნახევარფინალი გაიმართება, ოთხშაბათს კი — ფინალი (18 საათი).

მარშანდელის დარად, ტურნირს წლეულსაც საფეხბურთო სკოლა „ირაო“ უმასპინძლებს.

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგინებთ

სლოვ პოკერ კლუბი VEGA

ჩემპიონთა ლიგა 2007-2008

მერვედფინალი. საპასუხო მატჩები



გვირი ნოიერი

პორტუ 1:0 დ. (პენ.1:4, 1:0) შალკე (0:1)

1:0 ლ. ლოპესი (86)
პენალტები
0:1 რაფინია, 1:1 ლ. გონსალესი, 1:2 რაკიტჩი, 1:2 ბ. ალვეში (შეკარე), 1:3 ალტინტოპი, 1:3 ლ. ლოპესი (შეკარე), 1:4 ჯონსი
პორტუ: ელტონი, ბოსინგვა (მ. გონსალესი 54), პ. ემანუელი, ბ. ალვეში, ფუსილე, ლ. გონსალესი, პ. ასუნსაო, მერიელეში (ჩეხი 98), ლ. ლოპესი, სეკტიუი (ფარიასი 57), კვარესმა
შვრთნელი: ფესუალდო ფერეირა
შალკე: ნოიერი, რაფინია, ბორდონი (პიოვედესი 114), კრსტაიჩი, ვესტერმანი, გროსმიულერი (რაკიტჩი 111), ჯონსი, ერნსტი, კოზინაშვილი, ალტინტოპი, კურანი (ასამოა 79)
შვრთნელი: მიჩკო სლოვკა
გაფრთხილება: კურანი, ჯონსი, ვესტერმანი, ლ. გონსალესი, კოზინაშვილი
გაძეგება: ფუსილე (82)
მსაჯი: პოვარდ ვები (ინგლისი)
45 316 მაყურებელი

„დრაკონები“ მთელი მატჩის განმავლობაში საგრძობო უპირატესობას ფლობდნენ და მომენტებიც მრავალად ჰქონდათ, მაგრამ მათი გამოყენებლობა, ცხადია, საკუთარ თავს უნდა დააბრალონ. საბოლოოდ ისინი პენალტების სერიაში დამარცხდნენ და ჩვენებური ლევან კობიაშვილის „შალკე“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ისტორიაში პირველად გავიდა.
მატჩის გვირი უდავოდ მანუელ ნოიერია. გელზენკირხენელთა მეკარემ ურთულესი ბურთი ტარიკ სეკტიუისაც აუღო, ლისანდრო ლოპესსაც და ასე შემდეგ — მასპინძელთა ყველა მომენტის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.
პერიოდულად სახიფათოდ სტუმ-

რებიც იკბინებოდნენ. მაგალითად, ერთ ეპიზოდში კობიაშვილის ჩაწოდებული შემდეგ კენინ კურანიმ რვა მეტრიდან ააცილა მიზანს.
82-ე წუთზე ფუსილე იმავე კობიაშვილს ეუხემა და ინგლისელმა პოვარდ ვებმა იგი მინდვრიდან მიაბრძანა. მიუხედავად ამისა, „დრაკონებს“ ბინადრებს ყურები არ ჩამოუყრიათ და მალევე დაჯილდოვდნენ — 86-ე წუთზე ლისანდრო ლოპესმა ლუიზო გონსალესის პასი მიიღო, მოტრიალდა და ძლიერი დარტყმით ნოიერი უშანსოდ დატოვა.
დამატებულ დროშიც კი მცირე უპირატესობას კაცნაკლული პორტუგალიელები ფლობდნენ. რიკარდო კუარესმა ნოიერთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ეს შანსი ვერ გამოიყენა.

„შალკეს“ მეკარემ საგმირო საქმეები პენალტების სერიაში დაავიჯინა, როცა ჯერ ბრუნო ალვეშს აუღო, მერე კი ლისანდრო ლოპესს. გამარჯვების თეორიულტრიანი კი ბრწყინვალე დარტყმით ჯერმეინ ჯონსმა შეაგლო.
„უნდა ითქვას, რომ „შალკე“ ჩვენზე სუსტია. მეტოქეს არივთ მატჩში აშკარად ვაჯობეთ, მაგრამ მომენტები ვერ გამოვიყენეთ. დღეს ბოსინგვას ტრავმისა და ფუსილეს გაძეგვის მიუხედავად, ვატანა შეკრულით და კიდევ ორი ასპროცენტია შანსიც გვქონდა. ჩემს ბიჭებს დადამლობას უნდა, ბრწყინვალედ ერთამანეთ და ვფიქრობ, დიდი მოხვალე გვაქვს. ეს ერთ-ერთი ყველაზე სამწუხარო და ცუდი დღე ჩემს კარიერაში. გელზენკირხენელებს მშვენიერი გუნდი ჰყავთ, მაგრამ ჩვენ „შალკეზე“ გაცილებით ძლიერი ვართ“ — განაცხადა „დრაკონების“ მწვრთნელმა ფესუალდო ფერეირამ.
„შალკეს“ თავკაცი მიჩკო სლოვკა: „როგორც ვვარაუდობდი, პორტუსთან“ ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ მიზანს მაინც მივაღწიეთ, თუნდაც პენალტების სერიაში და ბედნიერები ვართ. თუქცა წინ კიდევ დიდი გზა და ბევრი საძუძოა. მიხდა, მანუელ ნოიერი გამოვიარინო, იგი ბრწყინვალე იყო და კრიტიკისგესაც პასუხი გასცა.“

გიორგი კაპაბაძე

ჩელსის კლასი და გაკვეთილი

ჩელსი 3:0 ოლიმპიკოსი (0:0)
1:0 ბალაკი (5), 2:0 ლამპარდი (25), 3:0 კალუ (48)
ჩელსი: კუდიჩინი, პ. ფერეირა, რ. კარვალიუ, ტერი, ე. კოული, ბალაკი, მაკელელე, ლამპარდი (ესინი 76), ჯ. კოული (რაიტ-ფილიპსი 79), დროგბა, ს. კალუ (მალუდა 71)
შვრთნელი: ავრამ გრანტი
ოლიმპიკოსი: ნიკოპოლიდისი, ფედაკოვი, ფულიო სეზარი, ანცასი, პანტოსი, ლედესმა (ბელუში 54), ტოროსიდისი (შიშიჩი 76), ჯორჯევიჩი (ლეონარდო 37), პაცაცოლუ, სტოლტიდისი, კოვაჩევიჩი
შვრთნელი: პანაიოტის ლემონისი
გაფრთხილება: პანტოსი, ლამპარდი, ფერეირა, ტერი
მსაჯი: მანუელ ფრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)
37 721 მაყურებელი

„ჩელსი“ დაამტკიცა, რომ „ოლიმპიკოსზე“ მაღალი კლასის გუნდია და საკუთარ „სტემფორდ ბრიჯზე“ ძალიან იოლად გაუსწორდა ბერძნებს.
ლონდონელებს ამოცანა სწრაფმა გოლმა გაუადვილა, ისინი უკვე მე-5 წუთზე დაწინაურდნენ — ფრენკ ლამპარდის კარგ ჩაწოდებულს მიხალ ბალაკის მძლავრი და ზუსტი თავური მოკვდა.
მასპინძლებმა იერიშები გააგრძელეს, მაგრამ დიდი დროვამ და კლოდ მაკელელემ თავიანთი შანსები ვერ გამოიყენეს. სამაგიეროდ, 25-ე წუთზე ზუსტი იყო ლამპარდი,

ვინც ბალაკის დარტყმულს დაამატა.
ავრამ გრანტის შეგირდებმა წერტილი მეორე ტაიმის დებიუტში დასვეს, როცა ლამპარდის ჩაწოდებული კუთხურის მერე სალომონ კალუმ ახლოდან იოლად გაიტანა, ეს ჩემპიონთა ლიგაში მისი პირველი გოლია.
დარჩენილ დროში მასპინძლებს თავი აღარ მოუკლავთ, აი, სტუმრები კი გააქტიურდნენ, მაგრამ მათ ერთი გოლის გაქვითვაც ვერ შეძლეს. ამამი მთავარი „დამნაშავე“ ტრავმირებული პეტრ ჩეხის ნაცვლად „ჩელსის“ კარში ჩამდგარი

კარლო კუდიჩინია. ვეტერანმა იტალიელმა რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია.
და ერთიც, „ოლიმპიკოსის“ ლეგენდარული მეკარის ანტონიოს ნიკოპოლიდისისთვის ეს 53-ე მატჩი იყო ჩემპიონთა ლიგაში, რაც საბერძნეთისთვის სარეკორდო მაჩვენებელია.
„კმაყოფილი ვარ, ლამაზი ფეხბურთი ვითამაშეთ, დამაჯერებლად მოვიგეთ და შემდეგ ეტაპზე გავედით. თან ისიცაა აღსანიშნავი, რომ „ოლიმპიკოსს“ გოლი არ გავატან-

ნეთ. არადა, ბერძნებმა ჯგუფურ ეტაპზე „რეალს“, „ვერდერსა“ და „ლაციოს“ სტუმრად თითო გოლზე მეტი გაუტანეს. მეოთხედფინალს უძლიერესი გუნდები შემორჩნენ. ასე რომ, ვინც არ უნდა შეგვხვდეს, ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ ბრძოლისთვის მზად ვართ“ — თქვა ავრამ გრანტმა.
„ოლიმპიკოსის“ მწვრთნელი პანაიოტის ლემონისი: „დასაწყისში გაშვებულმა ორმა გოლმა გაგვტეხა. ეს იყო მატჩის ძალიან მნიშვნელო-

ვანი მონაკეთი. არც ის დაგვიწყდეს, რომ გაცილებით გამოცდილ მეტოქეს ვხვდებით. ჩვენსა და „ჩელსის“ შორის კლასში საგრძობი განსხვავება და რაც შეეძლება, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ვეროპული გრანდების დონეს მივაუახლოვდეთ. ახლა მთელ ყურადღებას ეროვნულ ჩემპიონატზე ვადავიტბით, რადგან მოხვალ სეზონში ისევ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრისთვის ბრძოლა და პროგრესირებაა „ჩემპიონთა“.

კოკი კანდელაკი



პირველთა რბევას სთივე მიხელო ბილგემა (მარჯვნივ) დიულო

რომან რეალი ორჯერ დაჯაბნა



რომან რეალი
ორჯერ დაჯაბნა

რეალი 1:2 რუმბა (1:2)

0:1 ტადეი (73), 1:1 რაული (75), 1:2 ვუჩინიჩი (90)
რეალი: კასილასი, სალგადო (მ. ტორესი 64), კანავარო, პეპე, პაინცე, დიარა (დრენცე 61), გაგო, გუტი, ბაპტისტა (სოლდადო 85), რობინიო, რაული
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
რუმბა: დონი, სისინიო (პანუჩი 87), მექსესი, ჟუანი, ტონეტო, დე როსი, აკვილანი, ტადეი, პეროტა (პიზარო 76), მანსინი (ვუჩინიჩი 65), ტოტი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: პაინცე, ტადეი, დე როსი, პეპე, პეროტა, სისინიო, პეპე, რობინიო, გუტი, აკვილანი, ტონეტო
გაძევება: პეპე (71)
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
80 000 მაყურებელი

„მიჯრით“ მეორე სეზონია, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გადვიდვართ, რაც ჩვენს სტაბილურობაზე მეტყველებს და იმაზეც,

რომ ნელ-ნელა ევროპულ გრანდებში დავიმკვიდრეთ ადგილი. თან ახლა უფრო შეკრული, ძლიერი და მთლიანობაში უკეთესი გუნდი გვყავს,

ვიდრე წინა სეზონში. მწვრთნელიც, ფეხბურთელებიცა და დირექტორებიც ჩინებულად მუშაობენ — თქვა „სამეფო გუნდთან“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მოგების მერე „რომას“ მმართველმა როზელა სენსიმ. რომელიც მართლაც გლადიატორებივით იომეს და ნამდვილად დამსახურებულად იმარჯვეს. თუმცა ცუდად არც „რეალი“ გამოიყურებოდა, რომელსაც რუდ ვან ნისტელროი, არიენ რობენი, უესლი სნეიდერი, სერხიო რამოსი, კრისტოფ მეცელდერი და ხავიერ სავიოლა აკლდა. შეხვედრა ორმხრივი იერიშებით

დაიწყო. მასპინძელთაგან ხიფათს უღლიო ბაპტისტა ქმნიდა, ხოლო სტუმართაგან — ალბერტო აკვილანი. მათ თითოჯერ ძელსაც გაართყეს ბურთი.

64-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა მირკო ვუჩინიჩმა „რომას“ შეტევებს დამატებითი სიმწვავე შემატა. 71-ე წუთზე მან მარცხენა ფლანგზე გაინავარდა და პეპეს თავი წააქცევინა. კიროს ვასარასმა დაუფიქრებლად აჩვენა პორტუგალიელს მეორე ყვირთელი ბარათი და მადრიდელები რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ.

გავიდა 2 წუთი და იგივე ვუჩინიჩის აქტიურობას მაქს ტონეტოს ოსტატური ჩაწოდება და როდრიგო ტადეის ულამაზესი თავური მოყვამ, იკერ კასილასი აბსოლუტურად უძლეური იყო.

„რომას“ ზეიმი არ დასცალდა — 75-ე წუთზე რაულმა რობინიოს პასით გაიტანა, თითქოს აშკარა თამაშგარედან, მაგრამ გოლი ჩაითვალა და მასპინძლებიც ერთი ორად გამოცოცხლდნენ. თუმცა მცდელობების მიუხედავად, მათ არაფერი გამოუვიდათ და იქით გაუშვეს — ბოლო წამებზე შეცვლაზე შესული კრისტინ პანუჩის ჩაწოდებულს ვუჩინიჩმა თავი შეაგება და „ჯალიროსიმ“ მეტოქეს მეორე მატჩიც 2:1 მოუგო.

„გლადიატორთა“ მწვრთნელი ლუჩანო სპალეტი, „ძალიან ბედნიერი ვარ, ეს სიხარული დავიმსახურეთ, რადგან ბიჭებმა ბრწყინვალედ ითამაშეს. „რეალიმ“ მაშინ ვაგვიტანა და გააქტიურდა, როცა დასაკარგი აღარაფერი ჰქონდა, მაგრამ მთლიანობაში მოგება დავიმსახურეთ. ბურთი ორჯერ გავარტყით მეტოქის ძელს და სხვა მწვავე მომენტებიც მრავლად გვქონდა. მიხარია, რომ ჩემმა შეცვლებმა გაამართლა, რაც იმას ამტკიცებს, რომ

სათადარიგოთა სკამზეც ჩინებული ფეხბურთელები გვყავს.“
 „ბოლომდე დავიხარჯეთ და შედეგიც სახეზეა. ეს თავდაუზოგავი შრომის ნაყოფია. მწვრთნელის დავალებები შევასრულეთ და მებრძოლი ხასიათიც გამოვჩინეთ“ — აღნიშნა ტადეიმ.

„რომას“ ნახევარმცველი დანიელ დე როსი: „კარგად გვიძმის, რომ ასეთ დამაბულ და დატვირთულ სეზონში გუნდს ჩავარდნა ექნება და „სიენასთან“ მატჩში სწორედ ასე მოხდა, თუმც ნამდვილი „რომა“ ახლა ნახეთ, მადრიდში. ვცდილობთ, ძველი შეცდომები აღარ გავიმეორებოთ. ბრწყინვალე კუნდი გვყავს და იმედია, მიმდინარე სეზონში წარმატებული თამაშით კლუბის ისტორიაში კიდევ ერთ საამაყო ფურცელს ჩავწერთ.“

„იგივე დაგვიკმარია, რაც პარულ მატჩში. შევხვდით კარგად ორგანიზებულ ძლიერ გუნდს, მომენტებიც შევექმნით, ბოლომდეც ვიბრძოდით, მაგრამ არ გავვიმართლა. ბიჭებს მეტს ვერ მოვთხოვ, მათი თამაშით კმაყოფილი ვარ და ვოვლი, რომ ჩვენ უკეთ გამოვიყურებოდით“ — განაცხადა „რეალის“ მწვრთნელმა ბერნდ შუსტერმა.

მადრიდელთა იტალიელი მცველი ფაბიო კანავარო: „როცა რუდ ვან ნისტელროის დარი ფორგარდი გავლია, მისი შეცვლა ძალიან რთულია. გარდა ამისა, გვაკლდა საჭირო აგრესიულობა და შემართება. „რომამ“ უდავოდ უკეთ ითამაშა, ვიდრე პირველ მატჩში, მაგრამ მიხნის მიღწევაში მეტოქეს ჩვენს წავეხსნარეთ. მეორე გოლი ჩემი ბრალიც იყო, ვუჩინიჩთან უფრო მჭიდროდ უნდა მეთამაშა, მაგრამ იმ მომენტში ძალიან დამაბული ვითარება იყო, თან მეგონა, რომ მეკარე გამოვიდოდა და ბურთზე ითამაშებდა.“

კოკი კანდელაკი

პოპულარული ადრიან მუტუ


ზაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ იტალიური „ფიორენტინას“ ლიდერი ადრიან მუტუ ერთ-ერთი რუმინული „რეალითი შოუს“ მთავარი გმირი გახდება. ეს შოუ ტელეარხ Kanal D-ს ეთერში გადის.

შეგახსენებთ, რომ 29 წლის თავდასხმელი ამჟამად ტრავმირებულია და კიდევ 2-3 კვირა ვერ ითამაშებს. შესაბამისად, მას ახლა მეტი თავისუფალი დრო აქვს.

ამ პროექტის თანახმად, მუტუს 12 ოპერატორი აედევნება და მის ფაქტობრივად ყველა ნაბიჯსა და ქმედებას გადაიღებს. დამონტაჟებული მასალა ეთერში კვირაში 3-4ჯერ გავა. მაყურებლებს საშუალება ექნებათ, ნახონ, როგორ ვარჯიშობს მუტუ, როგორ ატარებს დროს ოჯახთან, მეგობრებთან და ასე შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ „ჩელსისა“ და „იუვენტუსის“ ყოფილი ფეხბურთელი სამშობლოში უადრესად პოპულარულია — იმდენად, რომ ამ პროექტში სპონსორებმა დაახლოებით 3 მილიონი ევრო ჩადეს.

კოკი კანდელაკი



ტოტი როსოს ბურთს უშიზნებს

იტალიური „რომას“ კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი მადრიდის „რეალის“ ძლიერ ძალიან გახარებულია და იმედოვნებს, რომ ბოლოს და ბოლოს შეძლებს „ოქროს ბურთის“ მოგებას, თუმც ისიც ესმის, რომ ამისთვის, სულ მცირე, მისი კლუბის ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით თამაშია საჭირო.

„ვიცი, რომ ჩემპიონთა ლიგა ძალიან მნიშვნელოვანი და ხშირად გადამწყვეტი ტურნირია, როცა „ოქროს ბურთის“ ბედი წყდება. იმედია, ამ მხრივ ბოლო ხუთ სეზონში ნაჩვენები თამაშის დამეხმარება. ცხადია, „რეალითან“ დამსახურებული გამარჯვებით ძალიან გახარებული ვარ. „სანტიაგო ბერნაბეუზე“, თან ჩემი გოლით მოგების ბედნიერება უკვე მქონდა, მაგრამ ეს წარმატება გაცილებით მნიშვნელოვანია. წინ ყველაზე დამაბული და ამავდროულად ყველაზე ტკბილი მატჩები გველის. ლიგის მეოთხედფინალი სახუმარო საქმე არ არის“ — განაცხადა „ერ პუპონემ“.

ამჟამად ტოტი ბოლომდე ჯანზე არ არის, რადგან არცთუ დიდი ხანია, რაც ტრავმა მოიშუშა, მაგრამ



„რეალის“ დამარცხებაში მანაც შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი და ნელ-ნელა ფორმაც შეიძინა.
 „ბოლომდე მწყობრში ნამდვილად არ ვარ, მაგრამ ბოლო სამი კვირაა, ჩვეულებრივ, თავდაუზოგავად ვვარჯიშობ და ვეჭვობ, მალე საუკეთესო ფორმაში ჩავდგები. მეც და მთელი გუნდიც საოცრად მოტივი-

რებული ვართ. „იუვენტუსთან“ წაგების შემდეგ თავი ხელში ავიკვირეთ, უფრო მოტივირებულები და კონცენტრირებულები გაუხდით. გჯერა, რომ ევროსარბილოზეც და იტალიაშიც წარმატების მიღწევა შეგვიძლია და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ“ — დასძინა ტოტიმ.

გიორგი კაკაბაძე



ჯერ დალასი, მერე 100



ფაბიო კაპელო დევიდ ბექემი ანუგემა, მარტში, საფრანგეთის ნაკრებთან ამხანაურ შეხვედრაში დიდი შანსი გაქვს, ნაკრების მისურა მესამედ მოიგოთ — შეგახსენებთ, ინგლისელთა ყოფილი კაპიტანი, „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „რეალის“ ყოფილი ვარსკვლავი და დღეს „ლოს ანჯელეს გალაქსის“ მთამაშე, ეროვნული გუნდის იტალიელმა მწვრთნელმა შვეიცარიელების წინააღმდეგ თავის პირველ და ჯერჯერობით ერთადერთ შეხვედრაში არ გამოიძახა.

თუმცა, ბენებრივია, კაპელოს ეს სიტყვები სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ფრანგებთან შეხვედრაში ბექემი ყველა ვარიანტში ითამაშებს, გინდა კარგ ფორმაში იყოს და გინდა, ცუდში.

„თუ ბექემი ჯანმრთელად და კარგ ფორმაში იქნება, მის მესამე შეხვედრას წინ არაფერი დაუდგება“ — ამბობს იტალიელი.

„ლოს ანჯელეს გალაქსი“ კი, როგორც აღრეც მო-

გახსენეთ, შანსიშია და ჩინელი მაყურებლისთვის მართაც კომერციულ თამაშებს. ცნობილი ფაქტია, რომ ჩინეთში ბექემი უსაზღვროდ პოპულარული გახლავთ, თუმცა, შანსიში ჩატარებულ პირველივე შეხვედრაში ინგლისელმა ვარსკვლავმა ფეხი იტყინა და 20 წუთის შემდეგ დატოვა მოედანი. შემდეგი თამაში ლოს ანჯელესის გუნდს 15 მარტს უკვე ამერიკაში, დალასში აქვს და იქ, ბექემის სანახავად ან უშუალოდ კაპელო ანაც მისი მთავარი ასისტენტი ფრანკო ბალდინი ჩავა.

ერთი სიტყვით, დევიდ ბექემს ძალიან სურს, მისი მესამე სანაკრებო შეხვედრა 26 მარტს საფრანგეთის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ შედგეს, მაგრამ თუ ეს საქმე ტრავმის ან ცუდ ფორმაში ყოფნის გამო გადაიდება, შემდეგი შანსი 28 მაისს, „უემბლიზე“ ამერიკის შეერთებული შტატების გუნდთან დადგება.

კაპელო: „ბექემის ბოლო ინტერვიუ წავიკითხე და როგორც იქიდან მივხვდი, ფიზიკურად მთლად ჯანზე ვერ არის. ერთი სიტყვით, ყველაფრის დასაზუსტებლად დავეურეკავ და უშუალოდ ვკითხავ. მაინტერესებს, თავად როგორ გრძნობს, შეუძლია თუ არა სანაკრებო შეხვედრაში მონაწილეობა. მალე „გალაქსი“ დალასში ითამაშებს და ამ შეხვედრას მე ან ფრანკო დავესწრებით და საფრანგეთთან გამოვიძახებთ თუ არა, სწორედ ამ თამაშის მიხედვით გადაწყდება“.

შემდეგ კი იტალიელი სპეციალისტი ინგლისელი ფეხბურთელების ნაკრებისა და კლუბებისადმი განსხვავებული დამოკიდებულების თემას დაუბრუნდა. აღრეც გვითქვამს, რომ ეს საკითხი კაპელოს ერთ-ერთ უმთავრეს საკითხად მიიჩნია.

„ეს სწორედ ის პრობლემაა, რომელსაც შვეიცარიასთან ჩატარებული პირველივე შეხვედრის დროს წავაწყდი. როდესაც ეს ბიჭები თავიანთ კლუბებში გამოდიან, ისინი საკუთარ შესაძლებლობებში აბსოლუტურად არიან დარწმუნებულნი, მაგრამ, საკმარისი იყო ნაკრებში გამოცხადებულიყვნენ, რომ აბსოლუტურად შეიცვალნენ. როგორც ვატიკო, მას მერე, რაც ინგლისის ნაკრები ვერობის 2008 წლის ჩემპიონატზე ვერ მოხვდა, გუნდში მდგომარეობა ფსიქოლოგიურადაც გაუარესდა. ახლა ჩემი ამოცანა მათთვის თვითრწმენის დაბრუნებაა. მე ამ საკითხზე მათთან ჯგუფურადაც ვმუშაობ და ინდივიდუალურადაც. ძალიან მნიშვნელოვანია, ინგლისის ნაკრებს ფსიქოლოგიური პრობლემები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლის დაწყებისთვის აღარ ჰქონდეს. გამარჯვებულის მენტალიტეტი აუცილებელია, მის გარეშე გუნდი ვერას გახდება“.

აკანა კელია

არს იფიქროთ!

უენი რუნი განაცხადა, რომ ინგლისური ფეხბურთიდან არასდროს წავა, რადგან ინგლისური ფეხბურთი მსოფლიოში საუკეთესოა.

რატომ ჩამოვარდა ამ თემაზე საუბარი? იმიტომ, რომ რუნის ნიჭს მთელს მსოფლიოში უამრავი თავიანთსმცემელი ჰყავს და, ბუნებრივია, უამრავ კლუბს სურს კიდევ ამ ფეხბურთელის შეძენა, მაგრამ თავად ვარსკვლავმა ყველას განუცხადა, რომ სჯობს მის შეძენაზე ფიქრსაც შეეშან.

„ბოლო რამდენიმე სეზონია, ჩვენი დონე მნიშვნელოვნად ამაღლდა — უთხრა ურნალისტებს 22 წლის მანჩესტერელმა — ვფიქრობ, ყველას დავემტკიცეთ, რომ ინგლისური ლიგა მსოფლიოში საუკეთესოა, რაც იმის გამოა, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები ჩვენთან ითამაშობენ. ერთი სიტყვით, ჩემი აზრით, პრემიერლიგა სხვებს მნიშვნელოვნად სჯობს. რასაკვირველია, უნდა თუ არა რომელიმე სხვა ქვეყანაში ითამაშო, ცალ-ცალკე თითოეული ინგლისელი ფეხბურთელის გადასაწყვეტია, პირადად ჩემთვის კი ყველაფერი ცხადია — ინგლისური ფეხბურთი ყველას სჯობს. პრემიერშიფში ითამაშო ძალიან მსიამოვნებს და დარწმუნებული ვარ, აქედან არასდროს წავალ“.

შეგახსენებთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „ლიონს“ აჯობა, (სამ-შაბათს, საბასუხო შეხვედრაში 1:0 მოუგო, საფრანგეთში კი 1:1 ჰქონდა ნათამაშევი) და მეოთხედფინალში გაიდა, თუმცა რუნი ამით არ კმაყოფილდება და უკეთესი თამაშების მოლოდინშია.

„თუ ჩვენ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება გვინდა, იმაზე უკეთ უნდა ვითამაშოთ, ვიდრე „ლიონთან“ ვითამაშეთ. მეორე ტაიმში, თითქოს, ცოტა ნერვიულად ვმოქმედებდით, ასე რომ, გამოსწორება გვმართებს“.

მოგენსენებთ, „იუნაიტედი“ ამ სეზონში, 1999 წლის დიდი შედეგის, ტრებლის გამეორებას ემუშავება. ტრებლი პრემიერლიგის, ფეხბურთის ასოციაციის თასისა და ჩემპიონთა ლიგის მოგებას ნიშნავს, რისი გაკეთებაც უენი რუნის, წლეგანდელი „მანჩესტერ იუნაიტედით“ სრულიად შესაძლებლად მიიჩნია.

„ნანისა და ანდერსონის შემატება გუნდი გააძლიერა — აზუსტებს „წითლებისა“ და ინგლისის ნაკრების ვარსკვლავი — გასულ სეზონში ბევრი დამავებული და დაღლილი ფეხბურთელი გვყავდა, წლეულს კი გუნდი გაიზარდა და ვიმედოვნებ, როტაციის გზა სასურველ შედეგამდე მივყავანს“.

მაგრამ, როტაციის პრინციპი საკუთრივ რუნის შიგადაშიგ დასვენებასაც ხომ არ ნიშნავს?

„რასაკვირველია, ბევრი კარგი ფეხბურთელის ყოლა გუნდში კონკურენციას ზრდის. ხომ ხედავთ, ლუი სააც ბრუნდება, ასე რომ, ყველა დონე უნდა ვიზმარო, რათა კარგ ფორმაში ვიყო და ძირითად შემადგენლობაში ადგილი შევიზარჩუნო. მე სათადარიგოთა სკამზე გადასვლა არ მინდა. წინა ტურში, „ფულემის“ წინააღმდეგ რომ არ მათამაშეს, კინაღამ გავვიყდი. მე ყოველ შეხვედრაში მონაწილეობა მწყურია“.

აკანა კელია



კევინ კივანი

ბოდიუი, ბიჭებო!

კევინ კივანის ნიუკასლურმა რეველუციამ გასულ კვირაში ახალი დარტყმა მიიღო და ახლა, როდესაც კარს ინგლისის ჩემპიონატის ახალი ტური მოგვადგა, ამაზე გვსურს თქვენთან საუბარი. ერთი სიტყვით, „მიკი მუსის“ მისვლის შემდეგ „კაპკაპების“ საქმე კარგად მოსწორდა, გაუარესდა და დღეს ეს გუნდი პრემიერლიგის წარუარდნის საშიშროების წინაშეც კი დგას.

ასე და ამგვარად, „ნიუკასლ იუნაიტედმა“ გასულ შაბათს მის „ბლეკბერნთან“ 0:1 წააგო, რაც იმას ნიშნავს, რომ მწვრთნელის თანამდებობაზე სემ ალარდაისის ნაცვლად კევინ კივანის მისვლის შემდეგ კვლავ არ მოუვია. და როდის შეცვალა კივანი ალარდაისმა? 16 იანვარს, არცთუ ცოტა ხნის წინ.

„დაახლოების 37-40 ქულა უნდა დავაგროვოთ, მაგრამ ამის გარანტიას ვერ ვიძლევი. დარწმუნებით არაფრის თქმა არ შემიძლია“ — თქვა კივანმა.

ცხრილი ჯიუტია, „ნიუკასლს“ 28 ქულა აქვს, რომელთაგან კივანს ხელმძღვანელობით ჩატარებულ 6 მატჩში მხოლოდ ორი აიღო.

მაგრამ რა გინდა ქნა, თუ იბალიც არ გწყალობს? აი, მაგალითად, „ბლეკბერნთან“ ხსენებულ შეხვედრაში, რომელშიც მეტოქემ ერთადერთი გოლი ბოლოწამს გაიტანა, მაიკლ ოუენმა ოთხი საგოლე მოქმეტი ვერ გამოიყენა.

კივანი: „ხანდახან ფეხბურთი სასტიკია. ჩვენ ეს თამაში არანაირი ლოგიკით არ უნდა წავგვეო, მაგრამ წავაგეთ. ჯერ ერთი, საკმაოდ კარგი ფეხბურთი ვითამაშეთ და მეორეც, მარტო პირველ ტაიმში 2:0 უნდა წავგვეყვანა. მეტსაც ვეტყვით, თამაში 0:0-ისკენ რომ მიდიოდა, უსამართლობის შეგრძნება მქონდა, მაგრამ ფრეს ვინ ჩივის, წავაგეთ. თამაშის შემდეგ მაიკლი გასახლეში შემოვიდა, ხელები აღმართა და ყველას გასაგონად თქვა: ბოდიში ბიჭებო, მე უნდა გამეტანა და მერე მუნეთ, სხვა დროს ასეთივე შეხვედრას ოუენი პეი თრიქით დაამთავრებდაო. საერთოდ, რაც „ნიუკასლის“ მწვრთნელად მოვედი, სულ ვცდილობ, ყურადღება დადებით საკითხებზე გავამახვილო, პოზიტიური დამოკიდებულება ჩამოვაყალიბო, თუმცა ისიც ვიცი, რომ წვრილ-წვრილი პრობლემები გვაქვს და კარგად ვიცი, რა პრობლემებიც ერთი სიტყვით, „ბლეკბერნთან“ წავგებას არ ვიმსახურებდით, მაგრამ ფაქტს ვერსად გავქვეყვით და ახლა, „ლივერპულის“ წინააღმდეგ სათამაშოდ მივყავი თავიდან მყავს შესავალიანებელი. თან, რაც ყველაზე საინტერესოა, მათ უნდა ვუთხრა, რომ თუ ისე ითამაშებენ, როგორც „ბლეკბერნთან“ ითამაშეს, აუცილებლად მიადწევნ მიზანს და სეზონის ბოლოსთვის იმდენ ქულას დაავროვებენ, რამდენიც საჭიროა“.

აკანა კელია



მაიკლ ოუენი

Table with multiple columns containing text, numbers, and dates. It appears to be a detailed schedule or index with entries for various events and dates in 2008.

NBA რეგულარული ჩემპიონატი

ჰიუსტონური ანომალია რაჩაბებმა სულ გააფრინეს



ფრინავს, რომ მაინცდამაინც მას მიაწერო გუნდის ჯერ არნახული წარმატება. ის საშუალოდ 21,4 ქულასა და 5,6 პასს აგროვებს. ამაზე ბევრად უკეთესი სეზონებიც ჰქონია...

რატომ იშვს „ჰიუსტონი“?

ამ კითხვებზე პასუხი ალბათ მის ლიდერ ტრეისი მაკგრედისავე არა აქვს

ნიუ ორლანდი 116:101 ატლანტა
ნიუ ორლანდი: პოლი (23 ქულა, 18 პასი), პიტერსონი (3), სტოიაკოვიჩი (29), ბოლენი (8), ჩანდლერი (14 ქულა, 16 მოხსნა); პარგო (22), რაიტი (13), ელი (4), ჯეიმსი

მემფისი: უორიცი (25), მილერი (22), მილიჩინი (16 ქულა, 11 მოხსნა)
ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (22), პარისი (20)

ნიუბა 105:76 მინესოტა
ნიუბა: უილიამსი (21 ქულა, 11 პასი), ბუზერი (16 ქულა, 14 მოხსნა), ბრიუერი (16), ოქური (15)

მინესოტა: ფოი (18), სნაიდერი (18)
დეივით 126:113 ფინიქსი
დეივით: აივროსონი (31 ქულა, 12 პასი), ენტონი (30 ქულა, 13 მოხსნა), სმოტი (20), მარტინი (17)

ჰიუსტონი 117:99 ინდიანა
ჰიუსტონი: მაკგრედი (25), ალსტონი (21), ჰედი (14), სკოტა (13), ლანდრი (13)
ინდიანა: მერფი (17), გრინივუდი (17)

ფინიქსი: სტუდემიერი (22), დიაუ (17), ბარბოსა (15), პილი (13), ონილი (12 ქულა, 8 მოხსნა), ნეშო (12 ქულა, 13 პასი)
კლიპერსი 116:109 სპარაგმენტო
კლიპერსი: ტორნტონი (27), მაგეთი (25), დიკაუ (20), კამანი (17 ქულა, 11 მოხსნა)

ნიუ იორკი 105:119 კლივლენდი
ნიუ იორკი: კროუფორდი (25), რობინსონი (24), კარი (20), ლი (17)

სპარაგმენტო: უდრიბი (25), მური (20)
„ჰიუსტონ რეკორდსს“ უფრო თვალმომჭრელი შემდეგნაირადაა ვიდრეა, როგორც გუნდი უკეთესიც ყოფილა და ზედიზედ ორჯერ ჩემპიონიც გამხდარა, მაგრამ ასე არ გადაურევია დუნია. ამ „ჰიუსტონისგან“ ჩემპიონობას ალბათ არ მოითხოვს მისი გულშემატკვარი, მაგრამ რასაც ეს გუნდი აკეთებს, ძნელია, ახსნა მოუძებნო.

ვაშინგტონი 92:122 ორლანდო
ვაშინგტონი: ჯემსონი (19), სტივენსონი (17)
ორლანდო: პოკერი (20 ქულა, 11 მოხსნა)
შარლოტი 118:109 ატლანტა
შარლოტი: რიჩარდსონი (42), ფელტონი (22)

„რაკეტები“ იაო მინის დამტკრევის შემდეგაც ახერხებენ მოწინააღმდეგის აფეთქებას, ოთხშაბათს მინ ინდიანას“ აჯობებს და ზედიზედ მე-16 გამარჯვება ჩააჩნობის საღაროში. ეს ტრადიციებით საქაოდ მდიდარი ამ კლუბის რეკორდია. ტრეისი მაკგრედიც არ

გოლდენ: უილიამსი (23), ვოლესი (23), პამილტონი (15)
ნიუ იორკი 105:119 კლივლენდი
ნიუ იორკი: კროუფორდი (25), რობინსონი (24), კარი (20), ლი (17)
კლივლენდი: ჯემსონი (19), სტივენსონი (17)

მინესოტა: ფოი (18), სნაიდერი (18)
დეივით 126:113 ფინიქსი
დეივით: აივროსონი (31 ქულა, 12 პასი), ენტონი (30 ქულა, 13 მოხსნა), სმოტი (20), მარტინი (17)
ფინიქსი: სტუდემიერი (22), დიაუ (17), ბარბოსა (15), პილი (13), ონილი (12 ქულა, 8 მოხსნა), ნეშო (12 ქულა, 13 პასი)

Table with 4 columns: Team, Points, Rebounds, Assists. Rows include Atlanta Hawks, Boston Celtics, Charlotte Hornets, Cleveland Cavaliers, Dallas Mavericks, Denver Nuggets, Detroit Pistons, Golden State Warriors, Houston Rockets, Indiana Pacers, Los Angeles Lakers, Miami Heat, Milwaukee Bucks, Minnesota Timberwolves, New York Knicks, Orlando Magic, Philadelphia 76ers, Phoenix Suns, Portland Trail Blazers, Sacramento Kings, San Antonio Spurs, Toronto Raptors, Utah Jazz, Washington Wizards, and New Orleans Hornets.

Table with 4 columns: Team, Points, Rebounds, Assists. Rows include Sacramento Kings, San Antonio Spurs, Toronto Raptors, Utah Jazz, Washington Wizards, New Orleans Hornets, Milwaukee Bucks, Detroit Pistons, Philadelphia 76ers, Golden State Warriors, Houston Rockets, Indiana Pacers, Charlotte Hornets, Cleveland Cavaliers, Dallas Mavericks, Denver Nuggets, Orlando Magic, Los Angeles Lakers, Miami Heat, New York Knicks, Boston Celtics, Atlanta Hawks, Phoenix Suns, Portland Trail Blazers, and Sacramento Kings.

ციდან რომ დაეშვით და მიწიერ ამბებს დაუბრუნდეთ, აქ პირველ რიგში „ბოსტონ სელტიქსი“ დაგვხვდება, ვინც ორი უმძლავრესი აღმოსავლელის ჯახში „დეტროიტი“ დააჩოქა და არც მეტი, არც ნაკლები, 23 თამაშით ადრე განადგავა პლეი ოფის საგზური. ამიერიდან ყველა მატჩი რომ წაავოს (ჯეკრათ, რომ წაავებს?), აღმოსავლეთის რჩეულ რეგულში მაინც არ დაკარგავს ადვილს. აი, ამდენად სუსტი და კონტრასტულია მისი კონფერენცია. ისე, მისგან ძლეული „დეტროიტიც“ მალე გადალახავს საპლეიოფო გარანტიის უზილავ ნიშნულს.

მაინცდამაინც გუნდით ვერ იამაყებს ლებრონი ჯეიმსი, სამაგიეროდ, გუნდი იამაყებს მისით — არ გაგვიკვირდეთ, კლივლენდელი ლებრონი ჯეიმსი რეგულარული ჩემპიონატის უძვირფასეს მთამაშედ რომ დაასახელონ. ახლა ის მართლა საუკეთესოა და ამას მისი ციფრებიც ამტკიცებს. საშუალოდ 30 ქულის, 8 მოხსნისა და თითქმის 8 პასის მკეთებელმა მსუბუქმა ფორვარდმა (რალა მსუბუქია, 117 კილოს იწონის) ნიუ იორკში, „მედისონ სკვერ გარდენში“ ცეცხლი დაანთო და მის გარშემო ცეკვა დაიწყო, ხოლო კოცონი რომ ჩაქრა, მეფე-ჯეიმსის 50 ქულა, 10 პასი და 8 მოხსნა ჰქონდა მოხვეჭილი.

50 ქულის კეთებას სეზონში სხვარამდენიმე მთამაშეც ახერხებს. აჯერ, სულ ახლახანს კობი ბრაიანტმა „დალასთან“ 52 გამანსა, მაგრამ ამდენი ქულისთვის 10 პასი და სულ ცოტა, 8 მოხსნა ქარიმ აბდულ-ჯაბარის დროებიდან, უფრო კონკრეტულად კი 1975 წლის შემდეგ არავის მიუბოძა.

ზაზა ფაჩულას „ატლანტამ“ კი ისევ წაავო. გოლდენსტიეტელ ბაირონ დევისთან ვერაბარებული გამოცდის შემდეგ მაიკ ბიბის ლიგის კიდევ ერთ სუპერგამთამაშებელთან მოუხდა შეხება. ნიუორლეანელი კრის პოლის წინააღმდეგ მან თითქოს დაიჭირა თავი და 21 ქულაც გაახერხა, მაგრამ კატასტროფულია პასებში სხვაობა: ბიბი — 5, პოლი — 18.

კობა ყოფნია

თოვლის რაზმის ფანტია... ავსტრიული საპლეიოფო... LIVE BAR... LIVE BAR... 9-10 მარტი, 2008 წ.

ოპალური ბაკურიანი 2008 ქართული რაზმი ზღვიდან მოყვია ავიდა

9-10 მარტს ბაკურიანში თოვლის რაზმის ფესტივალი გაიმართება, სადაც ექვსი სამოყვარულო გუნდი ითამაშებს: სპორტული პრესის ნაკრები, საზოგადოებრივი მაუწყებელი, ქართული ჯომარდებები, „რუსთაუი 2“, „ტი-ბი-სი სტუდიოსთან“ ერთად, „ჩიფსების თაობა“ და კომპანია BP. ტურნირი რაზმის კავშირის, დეველოპერული კომპანია „ლიბოს“ და „ლაივ ბარის“ ხელშეწყობითა და სპონსორებით ტარდება. მომავალ თვალსაყვირ ფესტივალთან დაკავშირებით, გუმბნ „ლაივ ბარში“ პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც საქართველოს ქალთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ დუვლაძემ და კომპანია „ლიბოს“ წარმომადგენელმა ნინო მარღანიამ ისაუბრეს.

ზურაბ დუვლაძე: ვასულ ზაფხულს ქობულეთში პლაჟის რაზმის ფედერაციის თაოსნობით, საქართველოში პირველად გაიმართა პლაჟის რაზმის ფესტივალი. შეჯიბრება სანაპიროზე და დაძაბული გამოდგება. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი რაზმის პოპულარიზაციისთვის გაკეთდა. მართალია, თოვლის რაზმი საქართველოში უცხო ხილია, მაგრამ ვადაწყვეტეთ, ტურნირი მაინც საკრებულისა. ბევრ მსურველს შიშის ექვსი გუნდი შეირჩა. თამაში დაახლოებით მინი-ფუნბურის მიმსებნის ზომის თოვლის საფარზე გაიმართება, რომელიც ლენტეხის დაახლოებით თითოეულ გუნდში ხუთი მთამაშე იქნება. ექვსი გუნდი ორ ქვეჯგუფად დაიყოფა. იქიდან ვასულელები კი ნახევარფინალებს და შემდეგ უკვე ფინალს ითამაშებენ. ვფიქრობ, სანაპიროზე და საინტერესო თამაშები გველის.

ზურაბ მებრიაული

NBA რეგულარული ჩემპიონატი 5 მარტი
ატლანტა 3:6 ბაროინა
1:2 1:2 1:2
1:0 ტორბერნი (5), 1:1 უოქერი (9), 1:2 დეიდა (20), 1:3 კორგო (21), 1:4 კოული (40), 2:4 კრისტენსენი (38), 2:5 სტალი (44), 3:5 კოვალჩუკი (53), 3:6 სტალი (59)
დეტროიტი 4:1 სანტ ლუისი
1:1 1:0 2:0
1:0 დაიჯოვი (6), 1:1 ჯოშინი (9), 2:1 ფრენცი (30), 3:1 რაფალსკი (47), 4:1 დაიჯოვი (59)
აუვალ 1:3 ვაშინგტონი
0:1 1:1 0:1
0:1 ოვერცინი (16), 1:1 კობალიკი (33), 1:2 ბექსტრომი (34), 1:3 ოვერცინი (54)
ჩიკაგო 3:0 ანაპოინი
1:0 0:0 2:0
1:0 ბაიფულენი (8), 2:0 ბარკერი (50), 3:0 შარბი (59)
დალასი 1:2 ფინიქსი
0:1 1:1 0:0
0:1 მიულერი (10), 0:2 დოუსი (21), 1:2 კინესტერი (38)
სან ხოსე 3:2 ოტავა
0:0 0:1 2:1 1:0 (ოვერცინი)
0:1 სპეცა (32), 1:1 მარლო (41), 1:2 სპეცა (53), 2:2 ჩიჩუ (58), 3:2 მარლო (64)

ათენში პეკინი უნდა გათენდეს ნაკრების თავკაცს მოკრივეების სჯერა



საქართველოს მოკრივეთა ნაკრებმა იტალიის ქალაქ პესკარაში საერთაშორისო სალიცენზიო ტურნირი მოილია და ახლა აპრილის მინურულს გასამართი ათენის ბოლო სალიცენზიო ტურნირისთვის განაგრძობს მზადებას. ნაკრების თავკაც თენგიზ მესხაძეს იტალიაში 8 მოკრივე ახლდა და მათგან ჩინეთის საგზურის მოპოვება ვერავინ შეძლო. დღესდღეობით მოკრივეებს საპეკინო ლიცენზია არ აქვთ და საამისოდ ერთი შანსილა ექნებათ, როცა უკვე ნახსენებ ათენის ტურნირს მიაშურებენ. მანამდე კი „სარბიელი“ თენგიზ მესხაძეს ესაუბრა, რომელმაც პესკარას ტურნირი შეაფასა და ჩვენი მოკრივეების სალიცენზიო შანსებზე და სამომავლო გეგმებზე მოგვითხრო

ლოდა, დარწმუნებული ვარ, ფინალში გავიდოდა და ლიცენზიას ავიღებდით. ახლა ლევანი ათენისთვის მოემზადება, იქ ბევრი ძლიერი კონკურენტი აღარ ეყოლება და კარგი შანსიც აქვს სალიცენზიოდ. 54 კგ-ში ნიკოლოზ იზორიამ გამოცდილ გერმანელთან წააგო. შეიძლება მისი დამარცხება, მაგრამ ამ ეტაპზე ის უფრო ძლიერი აღმოჩნდა. საბერძნეთში 54 კგ-ში იზორიას კონკურენტები 17 ქვეყნის მოკრივეები იქნებიან. მათში განსაკუთრებით მაგარი არავინაა და ნიკოლოზს შეუძლია, ფინალში გავიდეს, რაც ავტომატურად ლიცენზიაა. 69 კგ-ში კახა ჟვანიასი გვეიმედებოდა. მან კარგად დაიწყო და მეოთხედფინალში ინგლისელთან წააგო. არადა, მერე ეს მოკრივე მოლდოველთან დამარცხდა. თუმცა რა ანაღვლებდა, იცოდა, რომ მერე მესამე ადგილოსანს იოლად მოუგებდა, რადგანაც იქითა ბაღში სუსტი მოკრივეები იყვნენ. ჟვანიას წონაშიც ისეთი სიტუაციაა, რომ ათენის ტურნირზე მისიც გვეიმედება. 57 კგ-ში კობა ფხაკაძეს ათენში კვლავ რთული მეტოქეები ეყოლება, თუმცა სიურპრიზის გაკეთება მასაც შეუძლია. დანარჩენებმა დიდი გამოცდილება მიიღეს. ვიქვათ, გიორგი ნაკანი (75 კგ) ჩიკაგოში მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ასეთ მნიშვნელოვან ტურნირზე პირველად იყო და კარგადაც იბრძოლა. საბერძნეთშიც 8 მოკრივეს ვიახვალე, თუმცა შეიძლება ვინმე შეეცვალოს. ჯერ კიდევ დავაკვირდები.

გული იმაზე მწყდება, რომ სპორტის დეპარტამენტი და ფედერაციის პრეზიდენტი პეტრე ცისკარიშვილი ყველანაირად გვეხმარებოდნენ და პირობებს გვიქმნიდნენ, მაგრამ ლიცენზია ვერაფერც არა გვაქვს. — საბერძნეთის სალიცენზიო ტურნირისთვის ნაკრები როგორ მოემზადება? — ბიჭები ისვენებენ და ათი დღე პირად მწვრთნელებთან მოემზადებიან. მერე შეკრებაზე გადავალთ და ასევე გვეჩვენებ, რომ 12 დღით ადრე ჩავიდეთ საბერძნეთში, სადაც მასპინძლებთან და სომხეთის ნაკრებთან ერთად ვივარჯიშებთ. მოკრივეები იქაურ სიტუაციას შეგუდებიან. მაგალითად, იტალიაში ბევრს ადაპტაციის პრობლემა ჰქონდა. — როგორი სიტუაციაა რევიონებში და ფედერაციას თუ აქვს გეგმა, რომლის მიხედვითაც კრივის განვითარებაზე იზრუნებს? — სამოქმედო გეგმა ჩვენ ადრევე შევიმუშავეთ, მაგრამ ახლა აქცენტი მთლიანად ლიცენზიებზე ეთმობა. როგორც კი ამ საქმეებს მოვივლით, დავიწყებთ პროექტის განხორციელებას. გვინდა, რომ ყველა რევიონს თავისი პრეზიდენტი ჰყავდეს და მის საქმეებზე იზრუნოს. რევიონალურმა ფედერაციებმა უნდა ჩაატარონ შიდა პირველობები კონკურენციის გასაზრდელად. საჭიროა მწვრთნელთა საბჭოც, სადაც გამოცდილ ხალხთან ერთად ახალგაზრდებიც იქნებიან და ერთად იზრუნებენ კრივის მომავალზე.

დაეცა. გუშინ ორივემ ორ სეტში იმარჯვა და ეს მოუხდევად იმისა, რომ ფავორიტად არც ერთი არ მიიჩნეოდა. რუსი ენდი მოურეის ხედვებოდა და მართალია, რეიტინგში შოტლანდიელზე წინ არას, უმეტესობა ფსონს ენდიზე ჩამოდიოდა — ჯერ ერთი, ეს ბიჭი რუსზე გაცილებით უკეთეს სეხონს ატარებს; მეორეც, დავიდნო ბოლო სამ შეხვედრაში დასაჯრა; დაბოლოს, მოურეიმ პირველ წრეში თვით როჯერ ფედერერს მოუგო და ამის ფონზე დავიდნო რა პრობლემა უნდა ყოფილიყო. თუმცა სლავი არაფერს შეუმინდა და ახალგაზრდა მეტოქეს ჭკუაც ასწავლა, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ფედერერმა უმეტესწილად ცუდი სათამაშო ფორმის გამო წააგო. ლოპესი კი თანამემამულე და დუბაიში მეხუთე ნომრად განთესილი დავიდ ფედერერს გაუმკლავდა. ფელიჩანოსთვის ეს ტოპათუელის წევრთან კარიერაში მოგებულ მე-15 მატჩია. ნაკლები ყურადღება ექცევა დასვენების ტურნირს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იქ საინტერესო არაფერი ხდება. მაგალითად, გუშინ ტურნირის მეორე ნომერი ლეიტონ ჰოუტი ეკლავინ ბენეტომ დაიფრინა. მართალია, ფრანგმა ორ სეტში იხვირა, მაგრამ მაინც საათი და 45 წუთი მოუწია წვალებს. ავსტრალიელს კი ამის აზარტული თამაშების ამ ცენტრში ასე ნაადრევად (მეორე წრეში) აქამდე არასოდეს წაუგია — ერთხელ ნახევარფინალში დაემშვიდობა ტურნირს, ხუთჯერ კი ფინალს უწია.

აქცია
ლუბი. საემბროები. ჰარდი. საპრიზო 1 426 000 ლოლარი
მეორე წრე
არაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) — მიხაილ ლედოვსკი (რუსეთი) 6:4 6:0; ნიკოლა პეტრუჩი (3, სერბეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:3 7:6; დავიდ ფარინი (4, ესპანეთი) — ოლივიე როსუსი (ბელგია) 3:6 7:5 6:4; ნიკოლაი დავიდენკო (5, რუსეთი) — იან პენრიხი (ჩეხეთი) 6:1 6:4; ანდრი რუდინი (6, აშშ) — პოლანარი მათიო (საფრანგეთი) 6:3 6:4; იმორ ბანდრაძე (რუსეთი) — რიშარ გასკე (7, საფრანგეთი) 6:3 6:4; ფელიჩანო ლუპისი (ესპანეთი) — ტომაზ ბერდინი (8, ჩეხეთი) 6:2 7:5; ანდრი მირნი (ბრიტანეთი) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) 6:3 3:6 7:6

აქცია
ლას ვეგასი. აშშ. ჰარდი. საპრიზო 436 000 ლოლარი
მეორე წრე
შულონი ბანინო (საფრანგეთი) — ლეიტონ ჰოუტი (2, ავსტრალია) 6:3 7:5; მილერ რამონ პანასი (4, არგენტინა) — კრის გუჩინო (ავსტრალია) 6:2 7:5; ენრი დელინი (აშშ) — პოტიტო სტარაჩი (5, იტალია) 6:3 3:0 უარე; სემ ძუბარი (აშშ) — ნიკოლას კიფერი (8, გერმანია) 6:3 6:1

ქალაქი
ბანგალორი. ინდოეთი. ჰარდი. საპრიზო. 600 000 ლოლარი
მეორე წრე
სარანა უილიამსი (3, აშშ) — ციორა ოზილერი (ისრაელი) 7:5 6:0; პატი შენი (4, შვეიცარია) — აიკო ნაკამურა (იაპონია) 6:7 6:4 6:2; ანასტასია რაკონოვა (რუსეთი) — სობილ ბაბერი (6, ავსტრალია) 7:6 6:2; ძი იანი (ჩინეთი) — ოლგა სანჩუკი (უკრაინა) 6:2 6:1

ნიკოლოზო დაუბაიში

დაეცა. გუშინ ორივემ ორ სეტში იმარჯვა და ეს მოუხდევად იმისა, რომ ფავორიტად არც ერთი არ მიიჩნეოდა. რუსი ენდი მოურეის ხედვებოდა და მართალია, რეიტინგში შოტლანდიელზე წინ არას, უმეტესობა ფსონს ენდიზე ჩამოდიოდა — ჯერ ერთი, ეს ბიჭი რუსზე გაცილებით უკეთეს სეხონს ატარებს; მეორეც, დავიდნო ბოლო სამ შეხვედრაში დასაჯრა; დაბოლოს, მოურეიმ პირველ წრეში თვით როჯერ ფედერერს მოუგო და ამის ფონზე დავიდნო რა პრობლემა უნდა ყოფილიყო. თუმცა სლავი არაფერს შეუმინდა და ახალგაზრდა მეტოქეს ჭკუაც ასწავლა, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ფედერერმა უმეტესწილად ცუდი სათამაშო ფორმის გამო წააგო. ლოპესი კი თანამემამულე და დუბაიში მეხუთე ნომრად განთესილი დავიდ ფედერერს გაუმკლავდა. ფელიჩანოსთვის ეს ტოპათუელის წევრთან კარიერაში მოგებულ მე-15 მატჩია. ნაკლები ყურადღება ექცევა დასვენების ტურნირს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იქ საინტერესო არაფერი ხდება. მაგალითად, გუშინ ტურნირის მეორე ნომერი ლეიტონ ჰოუტი ეკლავინ ბენეტომ დაიფრინა. მართალია, ფრანგმა ორ სეტში იხვირა, მაგრამ მაინც საათი და 45 წუთი მოუწია წვალებს. ავსტრალიელს კი ამის აზარტული თამაშების ამ ცენტრში ასე ნაადრევად (მეორე წრეში) აქამდე არასოდეს წაუგია — ერთხელ ნახევარფინალში დაემშვიდობა ტურნირს, ხუთჯერ კი ფინალს უწია.

ქართველები პირველობაში გაითავალნენ

ბელარუსის მთავარქალაქ მინსკის ჭერქვეშა ხალხიან ITF-ის ეგიდით მიმდინარე 25-ათასიანი ტურნირის პირველ წრეში კვალიფიკაციაგავლილმა სოფო შაფათავამ უმძიმეს ბრძოლაში 7:5 6:7 7:6 დაამარცხა, ასევე კვალიფიკაციიდან წამოსული ბრიტანელი, 19 წლისა და რეიტინგში 421-ე ადგილზე მყოფი ანა სმიტი. მეორე წრეში სოფოს მეტოქე პირველ ნომრად განთესილი რუსი ანა ლაპუშენკოვაა. 21 წლის ლაპუშენკოვამ, ვისაც მიმდინარე კვალიფიკაციაში 136-ე პოზიცია უკავია, საწყის შეხვედრაში კორტის მასპინძელ ევგენია გრებენიუკს სამ სეტში, 7:6 4:6 6:2 მოუგო. ვერც ესპანური საბადელის თიხნარზე მიმდინარე 10-ათასიან შეჯიბრში მონაწილე სოფო ქვაცაბაია აცდა ტურნირის პირველ ნომერს. კვალიფიკაციაში წარმატებული თამაშის შემდეგ ჩვენებურს წილისყრამ უმუხტოდა და პირდაპირ მთავარ ფავორიტზე, 21 წლისა და რეიტინგის 261-ე საფეხურზე მყოფ ურუგვაელ ესტეფანია კრკუნზე გაიყვანა. ქვაცაბაია ურუგვაელს მხოლოდ პირველ სეტში გაუწია წინააღმდეგობა და 5:7 1:6 წააგო.

კობრა და კველი ჩეპიონი

ქართველი პროფესიონალი მოკრივე კობა გოგოლაძე უახლოეს პერიოდში აშშ-ის კრივის ასოციაციის (USBA) ქამრის მოსაპოვებლად ამერიკელი დერიკ გეინერის წინააღმდეგ იბრძობს. გოგოლაძეს 22 ჩხუბიდან 20 მოგებული აქვს და მათ შორის 8 ნოკაუტით. უფრო მეტი მოუვია მის მეტოქე გეინერს, ვინც მსოფლიოს კრივის ასოციაციის (WBA) ვერსიით, მსოფლიოს ჩემპიონი ყოფილა. მან 41 ბრძოლიდან 24-ჯერ ნოკაუტით გაიმარჯვა. ამერიკელ მოკრივეს საკუთარი ძალების სჯერა და ქართველის დამარცხებას აპირებს. USBA-ს ნახევრად მსუბუქი წონის რეიტინგში პენსილვანიის შტატის სახელით გამომსვლელ კობა გოგოლაძეს, ვისაც ამერიკელები „კობრას“ უწოდებენ, მე-3 ადგილი უკავია. მისი მეტოქე კი მე-4 პოზიციაზეა.

